ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 15

(კონსოლიდირებული ტენდერი - CON200000063)

ქ. თბილისი 15.09.2020 წელი.

ერთი მხრივ - სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსიფოლის საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა ჯოჯუას სახით და მეორე მხრივ - შპს „იუ-ჯი-თი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, ასევე „2020-2021 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის პრინტერისა და კარტრიჯის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის №2389 განკარგულებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც შეისყიდის საქონელს.

1.1.4. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - კონსოლიდირებული ტენდერის (CON200000063) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.1.9. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

2.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშკრულების დანართი №1-ით და N2-ით განსაზღვრული - A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერ(ებ)ისა (CPV - 30232110) და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯი)ის (CPV - 30125100) სახელმწიფო შესყიდვა, რომლებიც აკმაყოფილებენ კონსოლიდირებული ტენდერის (CON200000063) სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ პარამეტრებს.

2.2. შესყიდვის ობიექტია A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი და მისთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯი.

2.3. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართი №1-ით და დანართი N2-ით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 741 შვიდასორმოცდაერთი ლარი.

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ხარისხიანი, ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში, ორიგინალი, საწარმოო დეფექტის გარეშე, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დანართი N2-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღე. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: senAkhalisopeli@mes.gov.ge

; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი Gela.Gaprindashvili@ugt.ge ;

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია არ განახორციელოს საქონლის მიწოდება გამარჯვებულად გამოვლენიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N17ა;

4.5.ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელზე - ლაზერულ პრინტერზე, გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო ორგინალ კარტრიჯებზე - 1 წლის განმავლობაში.

4.6. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს და უზრუნველყოფს მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტში ლაზერული პრინტერის და კარტრიჯის ტრანსპორტირებას, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრას საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტში წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.7 საქონლის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიერ მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტში საქონლის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.8.მიმწოდებელი უფლებამოსილია, არ გაავრცელოს საგარანტიო პირობები იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდულ პრინტერში გამოიყენებს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ შესყიდულ კარტრიჯებს (მათ შორის არაორიგინალს, დატენილს ან თავსებადს).

4.9 მიმწოდებელი განახორციელებს საგარანტიო საქონლის ხარვეზის აღმოფხვრას მიმწოდებლის მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში: შპს „იუ-ჯი-თი“ საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N17ა; შპს კომპანია გლობალ ექსპერტი ფიზიკური მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, 26 მაისის N40; შპს კომლენდი ფიზიკური მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის N95; შპს ექსელ-ელექტრონიქსი ფიზიკური მისამართი: საქართველო, ქ. თელავი, ალაზნის გამზირი N6; შპს მასტერ პლიუსი ფიზიკური მისამართი: საქართველო, ქ. გორი, ცაბაძის N7.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
5.2. საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
5.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი მამუკა ჯოჯუა. მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიღება- ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია გელა გაფრინდაშვილი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს ანგარიშსწორება.
6.2. დაფინანსების წყარო: 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი..
6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
6.3.1. ანგარიშსწორების ვალუტა -ლარი.
6.3.2. ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო
6.3.3. მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად;
7.1.2. უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერებისა და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯების მიწოდება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ვადების მიხედვით, კერძოდ, განახორციელოს A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერ(ებ)ისა და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯ(ებ)ის მიწოდება შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.
7.1.3. გაავრცელოს საგარანტიო მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების 4.5.-4.9. და 8.1. პუნქტების მოთხოვნათა დაცვით;
7.1.4. უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;
7.1.5. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;
7.1.6. ხელი შეუწყოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელებისას;
7.1.7. უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
7.2.1. არ განახორციელოს საქონლის მიწოდება გამარჯვებულად გამოვლენიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.
7.2.2. მოთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია:
7.3.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;
7.3.2. უზრუნველყოს მიმწოდებლისაგან შესყიდული საქონლის ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯებით, ასევე უზრუნველყოს მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში შესყიდული საქონლის ტრანსპორტირება.
7.3.3. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, შეათანხმოს საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების საორიენტაციო, შემდგომში დაზუსტებული ვადები, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;
7.3.4. უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება;
7.3.5. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.4.1. მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

8.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2021 წლის 26 თებერვლის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების 4.5.-4.9. და 8.1. პუნქტების განსაზღვრულ ურთიერთობებზე ხელშეკრულება მოქმედებს გარანტიის ვადით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
11.1. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)
11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, კარანტინი, ეპიდემია, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით,

გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

12. ხელშეკრულების კონტროლის პირობები
12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი, შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად.
12.2. კონტროლის აქტში მითითებული უნდა იყოს აღმოჩენილი დეფექტი ან ნაკლი.
12.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო კავშირით შეატყობინოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს მისი აღმოფხვრა ან შეცვლა თავისი ხარჯით.
12.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მამუკა ჯოჯუა-

13. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა
13.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.
13.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ დაუბრუნდება კონკრეტული ხელშეკრულებისათვის წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. ხოლო საბანკო გარანტიის არ არსებობის შეთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლეში:
13.2.1 20%-ის ოდენობით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
13.2.2 შესასყიდი საქონლის (დარჩენილი) ღირებულების 10%-ის ოდენობით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
13.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.
13.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.კონფიდენციალურობა

15.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.
15.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალისოფლის საჯარო სკოლა **მისამართი: ქ.სენაკი სოფელ ახალისოფელი** **ტელოფენი: 595005180** **საბანკო რეკვიზიტები** **ანგ №GE11LB0125140935988000** ლ/ბ LBRTGE22 ს/კოდი 239885120	**შპს „იუ-ჯი-თი** ს/კ – 204892964 **მისამართი:** ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ #17ა **ტელეფონი:** 2 220505 **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ.# GE88BG0000000261644601, სს „საქართველოს ბანკი'', კოდი: BAGAGE22,
	გენერალური დირექტორი
_____	/ერმილე სულაძე/

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №15 დანართი №1

ფასების ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ბრენდისა და მოდელის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი	HP LaserJet Pro MFP M428dw	1-	645	645-
2	დიდი რესურსის ორიგინალი კარტრიჯი	HP CF259XC	--	320	--------
3	სტანდარტული ორიგინალი კარტრიჯი	HP CF259A	1	96	96-
				სულ დღგ-ს ჩათვლით:	741-

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №15 დანართი №2

A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერისა და ორიგინალი კარტრიჯების ტექნიკური პარამეტრები

პრინტერი		
1	ბეჭდის ტიპი:	შავ-თეთრი
2	ტექნოლოგია:	ლაზერული
3	პირველი გვერდის ამობეჭდვის დრო:	6.3 წამი
4	ბეჭდის სიჩქარე:	38 გვ/წუთში
5	პრინტერის გარჩევადობა:	1200 x 600 dpi
6	ფორმატი:	A4; A5; A6; B5 (JIS); Oficio
7	საქაღალდე უჯრა:	250 ფურცელი
8	საკომუნიკაციოპორტები:	Hi-Speed USB 2.0 / RJ45 Ethernet
9	კომპიუტერთან დამაკავშირებელი USB ტიპის კაბელი:	მოყვება არანაკლებ 1.5 მეტრი სიგრძის კომპიუტერთან დამაკავშირებელი USB ტიპის კაბელი
10	ოპერატიული მეხსიერება:	512MB
11	მაქსიმალური დატვირთვის ციკლი თვეში:	80000 გვერდი
12	ფურცელზე ორმხრივადბეჭდვა:	აქვს
13	შემომავალი დენი:	აკმაყოფილებს 220 V-დან 240 V-ის ჩათვლით
14	ოპერაციულსისტემებთან თავსებადობა:	Windows, Linux, Mac OS
ასლის გადაღება:		
15	ასლის გადაღების სიჩქარე:	38 გვ/წუთში
16	ასლის გადაღების გარჩევადობა:	600 x 600 dpi
სკანერი:		
17	სკანერის ტიპი:	Flatbed, ADF (ფურცლის ავტომატური მიმწოდებელი)
18	სკანერის გარჩევადობა :	1200 x1200 dpi
19	სკანირების სიჩქარე:	29 გვ/წუთში
20	დასკანირებულ ფაილს ფორმატი:	PDF
კარტრიჯი:		
21	ბარბანი:	ბარბანი ინტეგრირებული ორიგინალკარტრიჯებში
22	სტანდარტული კარტრიჯი:	3000 გვერდი (5% დაფარვით) HP CF259A

23	ლილ რესურსის კარტრიჯი:	10000 გვერდ (5% დაფარვით) HP CF259XC